

შპს „ვისტეკი“

ს/კ 406267597

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

თბილისი

2024 წელი

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგები მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ვისტეკი“-ს („შემდგომში კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებულ ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას დეკემბრით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.


ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათი თანმიმდევრულ შესრულებაზე.
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას.
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკამრისი, იმისათვის რომ, მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 23 სექტემბრს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



თეა ქასრაშვილი

ნათია ბერიძე

2025 წლის 23 სექტემბერი. საქართველო. თბილისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2024
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	1	1149259	890,481
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	485128	219,018
მარაგები	3	542035	537906
საგადასახადო აქტივები			
სხვა მოკლევადიანი აქტივები		164700	45
		2,341,122	1,647,450
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	12892	10,569
არამატერიალური აქტივი		1754	761
		14,646	11,330
მთლიანი აქტივები		2,355,768	1,658,780
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	145617	106920
საგადასახადო ვალდებულებები	6	38915	23,830
გადასახდელი დივიდენდი			
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		6143	
		190675	130,750
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები			-
მთლიანი ვალდებულებები		190675	130750
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2165093	1,528,030
		2165093	1,528,030
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2355768	1,658,780

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ნ. გელიძე

თეა ქასრაშვილი

ნათია ბერიძე


2025 წლის 23 სექტემბერი. საქართველო. თბილისი

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	7	4,218,433	2,794,520
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2,944,821)	(2,108,521)
საერთო მოგება		1,273,612	685,999
სხვა შემოსავლები	8	4,325	1,120
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(211,636)	(130,467)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		(46)	(438)
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი		(710)	(1,411)
სხვაობიდან			
საოპერაციო მოგება		1,065,545	554,803
მოგება დაბეგვრამდე		1,065,545	554,803
მოგების გადასახადი		(64,272)	(22,291)
პერიოდის მოგება		1,001,273	532,512

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



თეა ქასრაშვილი

ნათია ბერიძე


2025 წლის 23 სექტემბერი. საქართველო. თბილისი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022		1,121,820	1,121,820
კაპიტალის ზრდა			-
კაპიტალის შემცირება			-
პერიოდის მოგება		532,512	532,512
გაცემული დივიდენდი		(126,302)	(126,302)
ნაშთი 31.12.2023		1,528,030	1,528,030
კაპიტალის ზრდა			-
კაპიტალის შემცირება			-
პერიოდის მოგება		1,001,274	1,001,274
გაცემული დივიდენდი		(364,211)	(364,211)
ნაშთი 31.12.2024		2,165,093	2,165,093

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



თეა ქასრაშვილი

ნათია ბერიძე

2025 წლის 23 სექტემბერი. საქართველო. თბილისი


ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

მომზადებულია პირდაპირი მეთოდით

(თანხები მოცემულია ლარში)	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	4,675,242	3,250,306
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(3,476,652)	(2,399,020)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(105,517)	(60,518)
გადახდილი მოგების გადასახადი	(48,297)	(18,575)
ბიუჯეტში გადახდილი სხვა თანხები	(437,779)	(236,025)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	606,997	536,168
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,410)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,410)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(346,000)	(126,315)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(346,000)	(126,315)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა	259,587	409,853
არარეალიზებული მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში	(809)	(125)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	890,481	480,753
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	1,149,259	890,481

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



თეა ქასრაშვილი

ნათია ბერიძე

2025 წლის 23 სექტემბერი. საქართველო. თბილისი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. შპს ვისტეკი და მისი საქმიანობა

შპს ვისტეკი ფუნქციონირებს 2018 წლის 26 დეკემბრიდან თბილისში;
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთპიროვნული მფლობელია:

- 01001089184 თეა ქასრაშვილი - 100 %;

ძირითადი საქმიანობა : საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით;

მისამართი და ადგილმდებარეობა:

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის რაიონი, გიორგიწმინდის დასახლება, დავით აღმაშენებლის II ჩიხი, N3;

კომპანიის ფაქტიური მისამართია: თბილისი დიდუბე-ჩუღურეთი ხოშარაულის, ელიავას. მტკ. მარც. სან. და ვახუშ. ხიდს შორის ნაკ 10/23 4ა-4ბ

ანგარიშგების ვალუტა: ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში;

საიდენტიფიკაციო ნომერი: 406267597

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს).

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული

ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს კომპიუტრულ საბუღალტრო პროგრამა ორის 5- ისა და ფინა პროგრამების გამოყენებით.

3. ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული წესები და მეთოდები

ფინანსური ანგარიშგება დაფუძნებულია ორ ძირითად დაშვებებზე: დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო, გარდა ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა, ფინანსური ანგარიშგების ყველა სხვა კომპონენტი და ელემენტი განსაზღვრულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

- **აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება**

კომპანიამ აქტივები და ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგინა მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენი ვალდებულება კომპანიამ გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნა.

- **ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების აღრიცხვა**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში განთავსებული ნაღდი ფულის ნაშთისგან, აგრეთვე კომპანიის სალაროში განთავსებული ნაღდი ფულის ნაშთისაგან.

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში – ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს სამუშაო ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები კომპანიამ თავდაპირველად აღრიცხა ლარში, რომლის კონვერტაციაც მოახდინა ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაყვანილია შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით.

ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით.

კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

- **სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:**

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;

50 ლარამდე ღირებულების ინვენტარს და ნივთებს (კალკულატორი, ტელეფონის აპარატი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს;

სამშენებლო და საექსპლუატაციო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციისა და მიმდინარე შეკეთებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოწერება ხარჯებში;

- **მოთხოვნების აღრიცხვა**

გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები აღრიცხვაში ტარდება ნომინალური ღირებულებით.

მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით, რისთვისაც მოთხოვნების კორექტირება ხდება საექვო მოთხოვნების თანხით; საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება წმინდა რეალიზაციიდან წარსული გამოცდილების გათვალისწინებით.

- **ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:**

ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმებია ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად;

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას აღრიცხულია თვითღირებულებით;

ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აღებულია თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს,

საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გატმობისათვის და

ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს, იურიდიული და საბროკერო

მომსახურების ღირებულებას.

თვითღირებულებაში არ არის შეტანილი :

- ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობები და შეღავათები;
 - ახალი სიმძლავრეების ათვისების დანახარჯები;
 - ახალი პროდუქციისა და მომსახურების ათვისების დანახარჯები (მათ შორის, სარეკლამო და სტიმულირების დანახარჯები);
 - ადმინისტრაციული და სხვა საერთო ზედნადები დანახარჯები;
 - ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები.
- მირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

მირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

- საოფისე ინვენტარი 3-8 წლამდე
- ავეჯი და სხვა 3-10 წლამდე
- ტრანსპორტი 5-10 წლამდე

• საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება. მოგების განაწილება

მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება. წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:

- დივიდენდების გასაცემად;

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით გასაცემი დივიდენდები პარტნიორთა შორის ნაწილდება წილის პროპორციულად;

• საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა

საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. დაბეგრის ობიექტია:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომად-გენლობითი ხარჯი.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისაგან განსხვავებული, საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები აისახება საგადასახადო ანგარიშგებაში;

საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);

• შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა და მოგება-ზარალის ანგარიშგება:

შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასება.

შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი ფულადი სახსრების ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციის, ფაქტობრივად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება ნეტო ღირებულებით, მესამე პირის სახელით ამოღებული თანხების (დღგ, აქციზი) გარეშე

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯი განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ფაქტობრივი დაფარვის მომენტისა.

შემოსავლები აღირიცხებიან და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით.

ხარჯები აღირიცხებიან და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახებიან ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

• ფულადი ნაკადების აღრიცხვა-ანგარიშგება:

ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით;

საწარმოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები აისახება თვითღირებულების მოდელით.

შპს ვისტეკის (ს/ნ 404267597) შენიშვნები 2024 წლის 31.12 -ის მდგომარეობით

შენიშვნა 1
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	217426	193289.92
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში		
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	928726	697149.38
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3107	41.93
სულ	1,149,259	890,481

შენიშვნა 2
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	485128	202247
გაცემული ავანსები	164700	16771
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ		
სულ	649,828	219,018

შენიშვნა 3
მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
ნედლეული და მასალები	542035	537950
სულ	542,035	537,950

შენიშვნა 4
ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	ოფისის აღჭურვილ ობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2023	1,075	2,924	9,366	13,365
შემოსვლა	1,702	2,508		4,210
31 დეკემბერი 2024	2,777	5,432	9,366	17,575
ცვეთა და გაუფასურება				
31 დეკემბერი 2023	(583)	(652)	(1,561)	(2,796)
პერიოდის ცვეთა	(236)	(714)	(937)	(1,887)
31 დეკემბერი 2024	(819)	(1,366)	(2,498)	(4,683)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2023	492	2,272	7,805	10,569

31 დეკემბერი 2024	1,958	4,066	6,868	12,892
-------------------	-------	-------	-------	--------

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	151760	102409
მიღებული ავანსები		4511.38
საგადასახადო ვალდებულებები	38915	
სულ	190,675	106,920

შენიშვნა 6

საგადასახადო ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023
გადასახდელი მოგების გადასახადი	14952	3715
გადასახდელი დღგ	23963	20115
სულ	38,915	23,830

შენიშვნა 7

ამონაგები

	31.12.2024	31.12.2023
საქონლის რეალზაციიდან მიღებული ამონაგები	4218433	2,794,520
სულ	4,218,433	2,794,520

შენიშვნა 8

სხვა შემოსავლები

	31.12.2024	31.12.2023
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	2315	1120
სულ	2,315	1,120

შენიშვნა 9

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	31.12.2024	31.12.2023
შრომის ანაზღაურება	(98,842)	(76,075)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(1,888)	(1,437)
ქონების გადასახადის ხარჯი	(117)	
საბანკო ხარჯი	(3,542)	(9,284)
კომუნიკაციის ხარჯი	(508)	(237)
კომუნალური ხარჯი	(2295)	(1,867)
სამეურნეო ხარჯი	(297)	
საკანცელარიო ხარჯი	(112)	
იჯარის ხარჯი	(84,869)	(30,568)
საექსპლუატაციო ხარჯები	(786)	(10,748)
ძირითადი საშუალებების რემონტი	(407)	
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(7,226)	(260)
სულ	(200,889)	(130,476)

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	31.12.2024	31.12.2023
შრომის ანაზღაურება მთლიანად	22960	19500
სულ	22,960	19,500

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები და შესაბამისობები

შპს "ვისტეკი" ძირითადი და დამხმარე საქმიანობის მიხედვით ის არის მოგების გადასახადის, დღგ - სა და ქონების გადასახადის გადამხდელი, ხოლო განაცემების მიხედვით საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი.

საშემოსავლო გადასახადი

შპს "ვისტეკის" მიერ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს ხელფასი და მასთან გათანაბრებული განაცემები;

შპს ვისტეკის ხელფასისა და მასთან გათანაბრებული განაცემების სახით სულ საანგარიშო წლის განმავლობაში გაცემულია 98 404 ლარი. დივიდენდის სახით 364 210 ლარი. საშემოსავლო გადასახადის სახით 2024 წელს გადახდილია 32 533 ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შპს "ვისტეკს" დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) სულ საანგარიშო წლის განმავლობაში გადახდილი აქვს 116 522 ლარი.

მოგების გადასახადი

2018 წლიდან "ვისტეკი" მოგების გადასახადის გადამხდელია ესტონური მოდელის მიხედვით, აღნიშნულ გადასახადს საწარმო იხდის ამ მოდელით დაბეგვრის მომენტის დადგომისას;

2024 წელს მოგების გადასახადის დეკლარაციები წარდგენილია ყოველთვიურად, გადახდილია მოგების გადასახადი 48 297 ლარი.

ქონების გადასახადი

შპს "ვისტეკი" არის ქონების გადასახადის გადამხდელი. 2023 წლის ქონების გადასახადის დეკლარაცია 161 ლარზე წარდგენილია 2024 წლის აპრილის თვეში და შესაბამისი თანხა გადახდილია ბიუჯეტში.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თეა ქასრაშვილი

ნათია ბერიძე

2025 წლის 23 სექტემბერი. საქართველო. თბილისი